

„გამტკიცებ“

საქართველოს ბიუროს ეროვნული

ფილიალის



7 იანვარი 2025 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს ჩემპიონატის სალიცენზიო შეჯიბრება ჭაბუკებში  
(2008-2009 წლებში დაბადებულები)

2025 წელი  
10-12 იანვარი  
თბილისი

## I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ძიუდოსტთა შერჩევა ჭაბუკთა ეროვნული ჩემპიონატისათვის.

## II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტის სამინისტროსთან ერთად.

## III. შეჯიბრების მონაწილეები

- შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან 2008-2009 წელს დაბადებული ვაჟი ძიუდოსტები. (2010 წელს დაბადებულები არ დაიშვებიან).

## IV. შეჯიბრების ადგილი, დრო, კენჭისყრა

- შეჯიბრება ჩატარდება 10-12 იანვარს, თბილისში ძიუდოს აკადემიაში, ბელიაშვილის 38.
- 12-13 იანვარს ჩატარდება სემინარი, რომელსაც ჩატარებს იაპონელი ინსტრუქტორი ეიჯი კიკუჩი.
- კენჭისყრა ჩატარდება აწონვის დროს – თითოეული სპორტსმენი აწონვისას თავად იღებს ნომერს, რომლის მიხედვით ხდება კენჭისყრის ბადეში.
- ჩამოსვლის დღე ტურნირზე – 9 იანვარი, წასვლის დღე – 14 იანვარი.
- შეჯიბრების დასაწყისი - 10:00.

## რეგისტრაცია:

- ძიუდოსტთა რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვებგვერდიდან (<http://gif.ge/geo/calendar/georgia>) სპეციალური სარეგისტრაციო ფორმის შევსებით. კოდი - 1234
- შეჯიბრებაზე დაიშვებიან მხოლოდ ის სპორტსმენები, რომელთა პირადი მწვრთნელებიც 2025 წლის 6 იანვრამდე ელექტრონულად შეავსებენ სარეგისტრაციო ფორმას.
- 7 იანვარს ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდება მონაწილეთა სია. მწვრთნელები ვალდებული არიან გადაამოწონ საკუთარი ძიუდოსტები და უზუსტობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობონ საორგანიზაციო კომიტეტს.

## V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე;
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში 8 წონით კატეგორიაში:  
-50კგ, -55კგ, -60კგ, -66კგ, -73კგ, -81კგ, -90კგ, +90კგ.  
10 იანვარი: -50კგ, -55კგ, -60კგ;  
11 იანვარი: -66კგ, -73კგ;  
12 იანვარი: -81კგ, -90კგ; +90კგ.
- ფინალური ეტაპისთვის უნდა გამოვლინდეს წონაში 32 საუკეთესო.

## VI. აწონვა

- თბილისი, ძიუდოს აკადემია. ბელიაშვილის 38.  
9 იანვარი: -50კგ, -55კგ, -60კგ;  
10 იანვარი: -66კგ, -73კგ;  
11 იანვარი: -81კგ; -90კგ; +90კგ.

არაოფიციალური 16.30 - 17.00 საათამდე;

ოფიციალური 17.00 – 18.00 საათამდე;

## VII. შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, დამისთევა, კვება) გაიღებენ მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტის სამინისტროსთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:

საკონტაქტო პირი 577994407 ზურაბ უსუფაშვილი

### **P.S.**

- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.
- პირად მწვრთნელებს მიეცეთ მითითება არ დაუშვან იმ სპორტსმენთა მონაწილეობა, რომელთა წონა საშეჯიბრო წონასთან მიმართებაში არის ორი კილოგრამით მეტი, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია მიუხედავად სპორტსმენის მიერ დაკავებული საპრიზო ადგილისა, მას აეკრძალოს ასპარეზობა სხვადასხვა ოფიციალურ საერთაშორისო ტურნირებზე.

ფედერაციის პრეზიდენტი



ლევან ნოზაძე